ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N12

ქ. თეთრიწყარო **2021 წელი**

ერთი მხრივ, **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის **გიორგი ქორიძეს** სახით და მეორე მხრივ, **„შპს ამქარი“** (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა გაბრიჭიძეს სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელშეკრულებას (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და საკრებულოს აპარატისთვის ათი ცალი საწერი მაგიდისა და ორი ცალი დოკუმენტების შესანახი ტუმბოს შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად. CPV კოდი/ 39121100; 39132100;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3340,00 (სამი ათას სამას ორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3. დაფინანსების წყარო - 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ხარისხი

3.1. საქონლის გადაცემა განხორციელდება, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **10 (ხუთი) სამუშაო დღისა.**
3.2.“საქონლის“ უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ წერილობით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის“ ინტერესების გათვალისწინებით. ასევე ნაკლის აღმოფხვრა უნდა განხორციელდეს „მიმწოდებლის“ მხრიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე გავრცელდება მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირობები.
3.3.“საქონელი“ უნდა იყოს ახალი, ხარისხიანი და არ ავლენდეს დეფექტებს.
3.4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორცელდება საქონლის გადაცემის დასრულების შემდეგ, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

5.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

5.3.ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი(დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;

5.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

5.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ან გამოკლებული იქნას „შემსყიდველის“ მიერ ანგარიშსწორების პერიოდისათვის ასეთის არსებობის შემთხვევაში

5.6. ხელშეკრულების მე-4 მუხლის შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი იხდის ჯარიმას ჩასარიცხი თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტს ,,შემსყიდველის“ მხრიდან ხელს აწერს მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი (ინსპექტირების განმახორციელებელი პირ(ებ)ი), ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან მისი უფლებამოსილი პირი.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

8. ხელშკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

8.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.

8.6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

8.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

8.8. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:

- მხარეთა შეთანხმებით.
- ფორს-მაჟორული სიტუაციით.
- ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური.

10.2 გაწეულ მომსახურებაში გამოვლენილ ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

11. დავის გადაწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2 თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა იურიდიული მისამართი

„შემსყიდველი“
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ.თეთრიწყარო თამარ მეფის ქ.N 34
ს/კოდი: 230869254
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE24NB0330100200165022
ბ/კოდი TRESGE22

„მიმწოდებელი“
„შპს ამქარი''
ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ ქ.N164
ს/კოდი: 430033368
სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია“
ა/ა GE18VT000000000103606
ბ/კოდი UGEBGE22
ტელ: 2-42 44 50

14. მხარეთა ხელმოწერები

_____ _____

გიორგი ქორიძე **ლაშა გაბრიჭიძე**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი **შპს ,,ამქარი“-ს დირექტორი**

TETRITSKARO MUNICIPALITY
Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2021.02.11 15:21:40 +04'00'

AMQARI.COM ავეჯი·დიზაინი·რეკლამა·პროექტირება FURNITURE·DESIGN·ADVERTISING·PROJECTION		ინვოისი №
		03,01

დამკვეთი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	თარიღი: 25.01.2021	
დაკვეთა	ავეჯის დამზადება	დანიშნულების ადგილი	თეთრიწყარო

№	სამუშაოს დასახელება	ზომა	ერთეულის ფასი	რაოდენობა	სულ ფასი
	საოფისე მაგიდა უჯრებით	140/60/80	250	9	2250.0
	საოფისე მაგიდა უჯრებით ,ორივე მხარეს	150/70/75	460	1	460.0
	საოფისე ტუმბო უჯრებით,გორგოლაჭებზე	45/45/59	240	2	480.0
	ტრანსპორტრება				150.0
	ჯამი				**3340.0**

დამზადების ვადაა 10 სამუშაო დღე ღირებულების 60%-ის (ავანსი) ჩარიცხვიდან

რეკვიზიტები:	შპს "ამქარი" საიდ.კოდი 430033368 სს „ვი-თი-ბი ბანკი“ ჯორჯია (ვაკის ფილიალი) ა.№ GE18VT7000000000103606

დირექტორი: **ლ.გაბრიჭიძე**

საქართველო, თბილისი, ანდრონიკაშვილის ქ. №29 ტელ 42 44 50

29, Andronikashvili St. ,Tbilisi, Georgia Tel (+995 32) 42 44 50